საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN8

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

14 აპრილი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხეიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.რუსუდან კოვზირიძე, 10.იზა მაგრაქველიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, იურიდიულ საკითხთა კომისიაში შემოვიდა განცხადება (დათარიღებული 13.04.2022), ფრაქცია **,,ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ.**

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ კომისიას გააცნო საკრებულოს წევრების განცხადება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული

საქართველოს“ დაფუძნების შესახებ, რომლის წევრები არიან საკრებულოს წევრები: ტარიელ ფანჩულიძე, როლანდი მესხი, რუსუდან კოვზირიძე.

აღნიშნული განცხადების საფუძველზე იურიდიულ საკითხთა კომისიამ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შეისწავლა საკრებულოში შემოსული N 49 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტაცია და ფრაქციის მიერ წარმოდგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (თანდართული: ფრაქციის თავმჯდომარის განცხადება, (13.04.2022წ) ,ფრაქციის დამფუძნებელი კრების ოქმი, ფრაქციის წესდება) და გამოარკვია, რომ **ფრაქცია „ევროპული საქართველოს“** სადამფუძნებლო დოკუმენტაცია პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც არის ფრაქციის რეგისტრაციის საფუძველი.

აზრი გამოთქვეს: ჯემალ ისაკაძემ, ნატალია ასათიანმა;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა გატარდეს რეგისტრაციაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია **„ევროპული საქართველო“**.

მუხლი 2. კომისიის დასკვნა ფრაქციის დაფუძნების შესახებ წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომში ბიუროს სხდომაზე რეგისტრაციაში გატარების მიზნით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: